

კომაროველთა მოსაზრებები სკოლაში
არსებულ სასწავლო რეჟიმთან დაკავშირებით

კვლევაზე მუშაობდნენ:

თემო ხატიაშვილი


ნიკოლოზ ზაგაიძე

დავით ჟღენტი

10.05.2022


კომაროვის სკოლაში Research Club-მა ჩაატარა კვლევა თემით: “კომაროველთა მოსაზრებები სკოლაში არსებულ სასწავლო რეჟიმთან დაკავშირებით”. კვლევა მიზნად ისახავდა გამოიკვლია კომაროველების დამოკიდებულება Online სწავლის მეთოდზე, მის შედეგებსა და პოზიტიურ/ნეგატიურ მხარეებზე. კვლევის შედეგად მივიღეთ ბევრი ერთმანეთისგან განსხვავებული და საინტერესო პასუხი. მოცემულ შედეგებზე დაყრდნობით ვაწარმოეთ სტატისტიკა.

როგორ შეცვალა Online რეჟიმმა თქვენი მოტივაცია სწავლის მიმართ?




კვლევის შედეგად მივიღეთ, რომ სწავლის Online რეჟიმმა მოსწავლეების 48.4%-ს სწავლის მიმართ მოტივაცია შეუამცირა. მოცემულ ფაქტზე დაყრდნობით შეგვიძლია გრძელვადიან შუალედში განათლების დონის გაუარესებაზე ვივარაუდოთ. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 42.1% მოსწავლეების რომელთათვისაც Online სწავლის რეჟიმი მოტივატორი აღმოჩნდა.

როგორი გავლენა მოახდინა სასწავლო რეჟიმის ცვლილებამ თქვენი ქვიზის შედეგებზე?




მოსწავლეების 32.7%-ის ქვიზის შედეგებზე უარყოფითი გავლენა მოახდინა სასწავლო რეჟიმის ცვლილებამ. მოცემული ფაქტი შეგვიძლია დავუკავშიროთ იმ ტექნიკურ ხარვეზებსა და რეჟიმის გაუმართავობას, რომლებიც მოსწავლეებს დაბრკოლებად შეხვდათ Online სწავლებისას. მსჯელობის დასადასტურებლად კვლევის ერთ-ერთ კითხვაზე თუ რა პრობლემებს აწყდებოდნენ მოსწავლეები Online სწავლებისას სტატისტიკას მოვიყვანთ.

რა სირთულეებს წააწყდით Online სწავლებისას?




158 გამოკითხულიდან უმრავლესობა ინტერნეტს და სხვა ტექნიკურ პრობლემებს შეხვდა Online სწავლისას. აღსანიშნავი დეტალია, რომ 14 ბავშვი მოტივაციის, ხოლო 8 ინტერესის დაკარგვის წინაშე დადგა. მოცემული ფაქტი გავლენას ახდენს მათ აკადემიურ მოსწრებაზე და ინტერესებზე. 11 ბავშვი კომუნიკაციის არქონამ შეაშფოთა, რომელიც შეიძლება ერთ-ერთი მთავარი დემოტივატორი გახდეს სწავლის მიმართ.

რადგან სამი ტიპის სასწავლო რეჟიმთან გვექონია შეხება, რომელს ანიჭებთ უპირატესობას?




გამოკითხვის შედეგად მოსწავლეების არჩევნის განაწილება თითქმის თანაბარია ჰიბრიდულზე და პირისპირზე. რითიც ვასკვნით, რომ მოსწავლეთა უმრავლესობას მხოლოდ Online რეჟიმის პრაქტიკას არ ანიჭებს უპირატესობას.

თქვენი აზრით, Online სწავლის დანერგილი პრაქტიკა, გრძელვადიან შუალედში როგორ შეცვლის განათლების დონეს?



შეკითხვაზე თუ როგორ შეცვლის Online სწავლის დანერგილი პრაქტიკა გრძელვადიან შუალედში განათლების დონეს, მივიღეთ განსხვავებული პასუხები. ნახევარზე მეტი ფიქრობს, რომ გააუარესებს. ხოლო 34 ბავშვი მიიჩნევს, რომ ინდივიდუალურია და დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორებზე. აღსანიშნავია ის დეტალი, რომ 24 ბავშვის აზრით Online სწავლების დანერგილი პრაქტიკა განათლების დონეს გაზრდის.

თუ ხართ მე-7 ან მე-8 კლასელი და კომაროვში სრულად ჰიბრიდულ რეჟიმზე მოგიწიათ სწავლა, გაამართლა თუ არა კომაროვმა თქვენი მოლოდინები?



ჩვენი ბონუს კითხვით გავარკვეეთ, რომ Online რეჟიმის მიუხედავად კომაროვმა 76.5% ბავშვების მოლოდინები გაამართლა.

კვლევის შედეგად საბოლოოდ დავადგინეთ, რომ კომაროველების დამოკიდებულება Online სწავლის რეჟიმის მიმართ პროცენტულად ნეგატიურია. მიზეზები სხვადასხვაა: ტექნიკური თუ ინტერნეტის გაუმართაობა, მოტივაციის დაკარგვა, გაკვეთილების ვერ აღქმა პირისპირ რეჟიმთან შედარებით და სხვა. სასიხარულო არის ის ფაქტი, რომ კომაროველები მარტივად ადაპტირდნენ როგორც Online ასევე ჰიბრიდულ სასწავლო რეჟიმთან. Online რეჟიმის სირთულეების მიუხედავად ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ახალი მოსწავლეების 76.5 პროცენტისთვის სკოლა ისეთია როგორც წარმოედგინათ.

მიგვაჩნია, რომ კვლევაში მოცემული რიცხვები, დაფიქსირებული პრობლემები და მათი სტატისტიკა საკმარისია საკითხის სწორად დამუშავებისთვის. საჭიროა მათზე ყურადღების გამახვილება და პრობლემების გადაჭრა მინიმალური დანახარჯით და მაქსიმალური ეფექტურობით.